შეტყობინება
ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების მოწვევის შესახებ.

ს/ს „სარაჯიშვილი“ იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2023 წლის 11 ოქტომბერს 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N:4.

დღის წესრიგი

1. ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა ბუბუტეიშვილი).
2. ს/ს „სარაჯიშვილის“ 2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი - გენერალური დირექტორი ზურაბ ბუბუტეიშვილი).
3. ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ. (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თენგიზ ჯაფარიძე).
4. სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გელა შენგელია).
5. სხვა და სხვა საკითხები.

ს/ს „სარაჯიშვილის“ ხელმძღვანელმა ორგანომ წლიური (მორიგი) საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დაადგინა 2023 წლის 18 სექტემბერი.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ, მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.

დღის წესრიგის საკითხებზე კენჭისყრა ჩატარდება ღია კენჭისყრის გზით.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტები დღის წესრიგის საკითხებზე აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრებისათვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები გასაცნობად განთავსებული იქნება ს/ს „სარაჯიშვილის“ ვებ გვერდზე www.sarajishvili.ge .

ს/ს „სარაჯიშვილის“
ხელმძღვანელი პირი - გენერალური დირექტორი
ზურაბ ბუბუტეიშვილი

15.09.2023